წესები და პირობები

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ მომსახურების წესებსა და პირობებს, რომელსაც გთავაზობთ შპს „თინეთი“ (შემდგომში - TKT.GE) საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში - ეროვნული ბანკი) მიერ გამოშვებული საკოლექციო დანიშნულების მონეტების (შემდგომში - მონეტების) შესაძენად. TKT.GE მომსახურებას უწევს ეროვნულ ბანკს და მისი სურვილისა და შეკვეთის საფუძველზე უზრუნველყოფს მონეტების ონლაინ რეალიზაციას.

ვებგვერდზე მონეტების შეძენის წინ თქვენ ეთანხმებით წინამდებარე მომსახურების წესებსა და პირობებს, ისევე როგორც, ეროვნული ბანკის შესაბამის შეთანხმებას. TKT.GE უფლებას იტოვებს, ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები მომსახურების პირობებში, რაც ავტომატურად განთავსდება ვებგვერდზე. მოგმართავთ, რომ მონეტის შეძენის წინ ყურადღებით გაეცნოთ შემოთავაზებულ მომსახურების წესებსა და პირობებს.

გაითვალისწინეთ, რომ ქვემოთ მოცემული წესები და პირობები შეიძლება განახლდეს ნებისმიერ დროს ტექნიკური ცვლილების საფუძველზე. განახლებული წესები და პირობები განთავსდება TKT.GE-ს ვებგვერდზე, ხელმისაწვდომი იქნება ყველა მომხმარებლისთვის და აღნიშნულთან დაკავშირებით არ განხორციელდება მომხმარებლების დამატებითი საკომუნიკაციო არხების საშუალებით (ელ.ფოსტა, მოკლე ტექსტური შეტყობინება) ინფორმირება. ამის საფუძველზე ჩაითვლება, რომ მომხმარებელი გაეცნო განახლებულ წესებსა და პირობებს. ჩამოთვლილი წესები და პირობები ვრცელდება მხოლოდ TKT.GE-ს მიერ რეალიზებულ მონეტებზე.

TKT.GE-ს ვებგვერდზე მონეტების სარეალიზაციოდ განთავსების წინ, TKT.GE-სა და ეროვნულ ბანკს შორის ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება.

TKT.GE არის კომპანია, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ მსურველს/მომხმარებელს ვებგვერდის მეშვეობით შეიძინოს მონეტები.

დამკვეთი არის ეროვნული ბანკი, რომელიც სურვილისამებრ იყენებს TKT.GE-ს მომსახურებას (ვებგვერდი) მონეტების სარეალიზაციოდ.

მომხმარებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს მონეტების შეძენას ვებგვერდის მეშვეობით. მომხმარებელი ვალდებულია ყურადღებით გაეცნოს ვებგვერდის წესებსა და პირობებს მონეტების შეძენის წინ, რომელიც იმოქმედებს შეძენის დასრულების შემდეგაც.

განსაკუთრებული პირობები

იმისათვის, რომ ისარგებლოთ TKT.GE-ს ვებგვერდით, მომხმარებლის ასაკი უნდა შეადგენდეს ან აღემატებოდეს 18 წელს. მომხმარებელი პასუხისმგებელია ნებისმიერ ქმედებაზე, რაც განხორციელდება ვებგვერდზე მომხმარებლის სახელით. მომხმარებელი თავად აგებს პასუხს საკუთარი სარეგისტრაციო მონაცემების უსაფრთხოდ შენახვაზე, ასევე, მის მიერ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე.

TKT.GE უზრუნველყოფს ვებგვერდის ტექნიკურ გამართულობას და მომსახურების გაწევისას უზრუნველყოფს მაღალმდგრადი სერვისით ხელმისაწვდომობას.

მონაცემთა დამუშავება

TKT.GE ახორციელებს მომხმარებლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია მომხმარებლისათვის მომსახურების გასაწევად. ამასთან, მომხმარებლის მიერ შეთავაზების გამოყენება (შეძენა ან შეძენის მცდელობა) წარმოადგენს მის დამატებით თანხმობას პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. TKT.GE უფლებას იტოვებს დაამუშავოს მომხმარებლის პერსონალური მონაცემები პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის კანონით დასაშვებ ფარგლებში, ხოლო მომხმარებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს მის შესახებ პერსონალურ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა. TKT.GE უფლებას იტოვებს, ხოლო მომხმარებელი თანხმობას აცხადებს, გადაეცეს მისი პერსონალური მონაცემები დამკვეთს მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევის მიზნით. პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაცია დეტალურად მოცემულია ,,საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ლარის 30 წლისთავის თემაზე საკოლექციო დანიშნულების მონეტების შპს „თინეთის“ ვებგვერდის - TKT.GE-ის საშუალებით შეძენის წესების და პირობების თაობაზე“ შეთანხმების მე-6 მუხლში. მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს ანგარიშის გაუქმება და მონაცემების წაშლა თავისი პროფილის გვერდიდან და ასევე შემსრულებლის სისტემიდან.

მომხმარებლის ანგარიშის (პროფილის) დახურვის დეტალური პროცედურა განისაზღვრება წინამდებარე წესების და პირობების დანართი №1-ით (იხ. დანართი №1 ანგარიშის (პროფილის) დახურვის პროცედურა).

პერსონალური ინფორმაცია, რომელსაც TKT.GE თქვენგან მოიპოვებს მუშავდება წინამდებარე წესებში განსაზღვრული **კონფიდენციალურობის პოლიტიკის** შესაბამისად.

უარი გარანტიებზე

TKT.GE პასუხს არ აგებს მესამე პირების ქმედებაზე, მათ ვებგვერდებზე განთავსებულ ინფორმაციაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ მესამე პირების ვებგვერდზე განთავსებულია ბმული, რომლითაც ხორციელდება TKT.GE -ის ვებგვერდზე გადასვლა.

TKT.GE პასუხს არ აგებს მომხმარებლის ან სხვა პირის მოწყობილობის (კომპიუტერი, პლანშეტი, მობილური და სხვა) დაზიანების შემთხვევებზე, თუ აღნიშნული გამოწვეულ იქნა მომხმარებლის მიერ ვებგვერდიდან ან ვებგვერდზე განთავსებული ბმულის/კავშირის გამოყენებით, ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის ან/და პროგრამის ჩამოტვირთვის გამო.

TKT.GE იტოვებს უფლებას უარყოს ან გააუქმოს მომხმარებლის მოთხოვნები/ტრანზაქციები, რომლებთანაც TKT.GE-ს გააჩნია სამართლებრივი დავა; რომელმაც ადრე უკვე დაარღვია

TKT.GE-ს წესები და პირობები; რომელიც ეჭვმიტანილია რაიმე სახის თაღლითობაში, მათ შორის, საგადახდო ბარათებით გადახდებთან დაკავშირებულ თაღლითობაში; რომლებიც განახორციელებენ საგადახდო ბარათების ყალბ ან არასრულ საიდენტიფიკაციო მონაცემთა გამოყენებას და სხვა.

ვებგვერდზე რეგისტრაცია არის უფასო. სასტიკად აკრძალულია რეგისტრაციისას არასწორი, გამოგონილი პირადი ინფორმაციის გამოყენება. ამ შემთხვევაში TKT.GE და მისი დამკვეთი იხსნის პასუხისმგებლობას შეძენილი მონეტების ნამდვილ ადრესატთან გაგზავნაზე.

მომხმარებლის პირადი ინფორმაცია არის კონფიდენციალური და არ არის საჯარო. რეგისტრაციის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია მოიძიოს ნებისმიერი ინფორმაცია მისი ანგარიშის და განხორციელებული ოპერაციების მიხედვით:

- შეამოწმოს მის მიერ განხორციელებული გადახდების სტატუსი;

- გადაამოწმოს მის მიერ შეძენილი პროდუქციის ისტორია;

- შეცვალოს პაროლი;

- ჩართოს ან გამორთოს შეტყობინებები ახალ პროდუქციაზე;

- ისარგებლოს ნებისმიერი ახალი ფუნქციით, რომელსაც ჩვენი ვებგვერდი პერიოდულად შესთავაზებს ჩვენს აქტიურ მომხმარებლებს.

TKT.GE -ს არ მიუწვდება ხელი მომხმარებლის მიერ ვებგვერდზე გამოყენებული საგადახდო ბარათების დეტალებზე (ბარათის ნომერი, ბარათის მოქმედების ვადა, ბარათის უსაფრთხოების კოდი და სხვა).

შეკვეთის გაუქმება

TKT.GE წარმოადგენს მხოლოდ შუამავალს, რომელიც ეროვნული ბანკის დავალებით ახორციელებს მონეტების რეალიზაციას. შესაბამისად, TKT.GE პასუხს არ აგებს მომხმარებელს და ეროვნულ ბანკს შორის მოქმედი „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ლარის 30 წლისთავის თემაზე საკოლექციო დანიშნულების მონეტების შპს „თინეთის“ ვებგვერდის - TKT.GE-ის საშუალებით შეძენის წესების და პირობების თაობაზე“ შეთანხმების ფარგლებში ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და ამ შემთხვევაში მომხმარებელს მოთხოვნის უფლება წარმოეშვება მხოლოდ ეროვნული ბანკის მიმართ. მიუხედავად ამისა, TKT.GE შეეცდება დახმარება გაუწიოს მომხმარებელს ეროვნულ ბანკთან დაკავშირებასა და სხვადასხვა საკითხის მოგვარებაში.

იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკი TKT.GE-ის საშუალებით დააბრუნებს მის მიერ გაუქმებული შეკვეთის თანხებს, მომხმარებელს უბრუნდება შესაბამისი თანხა მომსახურების საკომისიოს (სერვისის და ტრანზაქციის) გამოკლებით, რადგან მომსახურების საკომისიოები წარმოადგენს მონეტის ელექტრონულად შეძენის ხარჯს, რომელსაც იხდის მომხმარებელი.

ეროვნული ბანკის მიერ შეკვეთის გაუქმებისას TKT.GE უფლებას იტოვებს მოახდინოს იმ მომხმარებლის ინფორმირება, რომელსაც შეძენილი აქვს მონეტა. აღნიშნული წარმოადგენს ნებაყოფლობით მომსახურებას, რაც შეიძლება განხორციელდეს მოკლე ტექსტური შეტყობინების ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით TKT.GE-ისათვის ცნობილ მომხმარებლის მონაცემებზე ან უბრალოდ ინფორმაციის სახით განთავსდეს TKT.GE-ს ვებგვერდზე www.tkt.ge.

ერთი პირადი ნომრით/პასპორტის ნომრით მომხმარებელი უფლებამოსილია შეიძინოს ლარის 30 წლისთავის თემაზე 5 ლარის ნომინალის საკოლექციო დანიშნულების არაუმეტეს 1 ცალი ოქროს, 2 ცალი ვერცხლის და 5 ცალი სპილენძ-ნიკელის მონეტა. სხვა შემთხვევაში შეკვეთა ექვემდებარება გაუქმებას.

TKT.GE უფლებამოსილია, საეჭვო ტრანზაქციის აღმოჩენის შემთხვევაში, ყოველგვარი დამატებითი პასუხისმგებლობის გარეშე გააუქმოს შეკვეთა.

TKT.GE არის სადისტრიბუციო ქსელი, რომელიც არ იღებს მონაწილეობას და არ არის ჩართული მის მიერ გასაყიდ მონეტებთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საქმიანობაში, ასევე, არ იძლევა გარანტიას მონეტების გაყიდვა/არ გაყიდვასთან დაკავშირებით. ვებგვერდზე მონეტების განთავსება ხდება დამკვეთის სურვილისამებრ და მხოლოდ ის არის პასუხისმგებელი მონეტებთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებზე, მათ შორის:

- გასაყიდი მონეტების რაოდენობის განსაზღვრაზე;

- მაქსიმალური მონეტების რაოდენობის განსაზღვრაზე, რაც დასაშვებია ერთი მომხმარებლის მიერ შეძენის შემთხვევაში;

- ასაკობრივი შეზღუდვის მოთხოვნაზე;

- გასაყიდი მონეტების ფასზე და სხვა.

თანხის დაბრუნება

TKT.GE არც ერთ შემთხვევაში არ არის ვალდებული უკან დაუბრუნოს მომხმარებელს შეძენილი მონეტების საფასური, ვინაიდან TKT.GE წარმოადგენს მხოლოდ სადისტრიბუციო ქსელს და ამასთან მომხმარებელი წინამდებარე პირობებზე დათანხმებისას ინფორმირებულია TKT.GE-ის ფუნქციაზე და საშუამავლო როლზე შემკვეთს და მომხმარებელს შორის.

მონეტების დაბრუნება

TKT.GE არ არის ვალდებული დაიბრუნოს გაყიდული მონეტა/მონეტები.

მონაცემთა დაცვა

TKT.GE მიმართავს ყველა გონივრულ საშუალებას, რათა უზრუნველყოს მომხმარებლის მონაცემების დაცვა.

მოქმედი სამართალი

ურთიერთობები წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. დავის განხილვა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ.

დანართი №1

ანგარიშის (პროფილის) დახურვის პროცედურა

თქვენ (მომხმარებელი) უფლებამოსილი ხართ ნებისმიერ დროს TKT.GE-ის ვებგვერდზე მომხმარებლის რეგისტრირებული ელ-ფოსტიდან TKT.GE-ს ელექტრონული ფოსტის მისამართზე Support@Tkt.ge წერილობითი მიმართვით მოითხოვოთ თქვენი ანგარიშის (პროფილის) დახურვა და მონაცემების წაშლა.

ანგარიშის (პროფილის) დახურვის მოთხოვნამდე დარწმუნდით, რომ ყველა თქვენი ვალდებულება შესრულებულია და არ გიფიქსირდებათ მიმდინარე დავალიანება ან ვალდებულება TKT.GE-ის მიმართ.

თქვენი მომართვის დაფიქსირებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ჩვენ მოვახდენთ თქვენი მოთხოვნის შესრულებას - თქვენი ანგარიშის დახურვასა და მონაცემების წაშლას.

დახურულ ანგარიშზე არსებული პერსონალური მონაცემების რეგულირება

თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლის უფლება განისაზღვრება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

TKT.GE ახდენს თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლას ისეთი მეთოდებით როგორიცაა დაშიფვრა და ფსევდონიმიზაცია. თქვენი მხრივ, თქვენ უნდა გაასუფთაოთ ქეში, ქუქი ფაილები და ისტორია თითოეული ბრაუზერისგან, რომელიც გამოიყენეთ TKT.GE-ს ანგარიშზე შესასვლელად. თუ თქვენ ჩამოტვირთეთ TKT.GE-ს აპლიკაცია თქვენს ნებისმიერ მოწყობილობაზე, თქვენ უნდა წაშალოთ ის.

ანგარიშის (პროფილის) დახურვის შესახებ თქვენ TKT.GE-სგან მიიღებთ შესაბამის შეტყობინებას.

ანგარიშის (პროფილის) დახურვისა და პერსონალური მონაცემების წაშლის საგამონაკლისო შემთხვევები

ჩვენ არ შეგვიძლია დავხუროთ ან წავშალოთ თქვენი ანგარიში (პროფილი)/მონაცემები თუ:

- თქვენ გიფიქსირდებათ მიმდინარე ვალდებულება/დავალიანება TKT.GE-ს მიმართ;

- ანგარიშთან დაკავშირებული მონაცემები საჭიროა თაღლითური ან უკანონო ქმედებების გამოვლენის/თავიდან აცილების/შემსუბუქების ან გამოძიების მიზნით;

- ანგარიშთან დაკავშირებული მონაცემები საჭიროა ჩვენთვის რელევანტური კანონებისა და რეგულაციების შესასრულებლად;

- ანგარიშთან დაკავშირებული მონაცემები საჭიროა საჩივრებზე რეაგირების მოსახდენად და მათი მოგვარების გზების მოსაძიებლად;

- არსებობს ბრძანება/განკარგულება/გადაწყვეტილება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან ანგარიშთან დაკავშირებული მონაცემების შენარჩუნება/შენახვაზე;

თუ თქვენი მონაცემების წაშლას ვერ განვახორციელებთ რაიმე სახის მიზეზით, იგი შენარჩუნებული იქნება ჩვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკის შესაბამისად.